საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№133 2017 წლის 19 მაისი ქ. თბილისი

ნ. გაგუას, ი. მატკავასა და ზ. სიმონიასათვის „საქართველოსა და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ბათუმის შემოვლითი გზის პროექტი)“ ტექსტის მიღების მიზნით, მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს ნიკოლოზ გაგუას, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველ მოადგილეს ირაკლი მატკავასა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელს ზაზა სიმონიას მიენიჭოთ „საქართველოსა და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს შორის

სასესხო შეთანხმების (ბათუმის შემოვლითი გზის პროექტი)“ ტექსტის მიღების მიზნით, მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილება.

გიორგი კვირიკაშვილი